

სავარჯიშო II - ლიტერორიის საკითხები. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (10 ქულა)

11. რა არის სტროფი?

- ა) სტროფი არის ლექსის ის ნაწილი, რომელიც ერთმანეთთან რითმებითა და ინტონაციით დაკავშირებული ტაქტებისგან შედგება.
- ბ) სტროფი არის მწერლის მიერ შერჩეული ან შექმნილი ისეთი მასალა, რომელიც დამახასიათებელია მოვლენათა ჯგუფისათვის და რომელიც თავიდანვე ტიპური მნიშვნელობისაა.
- გ) სტროფი არის მონაკვეთი ამა თუ იმ ლიტერატურული თუ დრამატული ნაწარმოებიდან, რომელიც სიტყვა-სიტყვით გადმოიცემა და ჩაისმის ბრჭყალებში.

12. რა არის თქმულება?

- ა) თქმულება არის ალეგორიული ფორმისა და დიდაქტიკური ხასიათის პატარა სიუჟეტური ნაწარმოები.
- ბ) თქმულება არის ბრძნული აზრის გონებამახვილურად, სხარტად და ალეგორიულად გამოხატვა.
- გ) თქმულება არის თაობიდან თაობაში ზეპირად გადმოცემული ამბავი, მოთხრობა, გადმოცემა, ლეგენდა.

13. რა არის ციტატა?

- ა) ციტატა არის ამა თუ იმ საგნის, მოვლენის, ფაქტის ესთეტიკური განსურათება.
- ბ) ციტატა არის მონაკვეთი ამა თუ იმ ლიტერატურული თუ დრამატული ნაწარმოებიდან, რომელიც სიტყვა-სიტყვით გადმოიცემა და ჩაისმის ბრჭყალებში.
- გ) ციტატა არის მხატვრული ნაწარმოები, რომელშიც აზრები ხატოვნად არის გამოსახული, დაცულია სიტყვების თანაზომიერება და სხვადასხვა სტრიქონში განმეორებულია ბოლო ბგერები.

14. რომელ წინადადებაში გვხვდება ეპითეტი?

- ა) „სიფრიფანა, ცისფერთვალემა მირანდუხტი მოკირწყლულ ქუჩას მიუყვებოდა.“
- ბ) „ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა გულსა მდულრად ანატირსა.“
- გ) „ზამბახსაც გაღვიძებოდა და თავს უხრიდა ნიავსა.“

15. რომელ წინადადებაში გვხვდება გაპიროვნება?

- ა) „ალუდა ქეთელაური კაცია დავლათიანი, საფიხვნოს თავში დაჯდების, სიტყვა მოუდის გზიანი...“
- ბ) „დღემ დაიხურა პირ-ბადე, მთებმა დახუჭეს თვალები...“
- გ) „მას თინათინის შვენება კლვიდის წამწამთა ჯარისა.“